ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ინიციატივების ფარგლებში კონკურსის ,,მომავლის იდეა ქალაქის მერს" ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის მუშაობის დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ახალგაზრდული ინიციატივების ფარგლებში კონკურსის - ,,მომავლის იდეა ქალაქის მერს" ჩატარების წესსა და პირობებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.
1.2 კონკურსის ორგანიზატორია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია.
1.3 კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, რომელიც:
1.3.1 უზრუნველყოფს მონაწილეთა ინფორმირებას;
1.3.2 კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას;
1.3.3. კონკურსის ჩატარების ხელშეწყობას;
1.3.4 დროებითი კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებს პროექტების წინამდებარე დებულებასთან შესაბამისობას და კომისიას განსახილველად წარუდგენს და განიხილავს.
1.4 კონკურსი ტარდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მასშტაბით;
1.5 ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსი - "მომავლის იდეა ქალაქის მერს " ითვალისწინებს ახალგაზრდების/საინიციატივო ჯგუფების, ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერას, ახალგაზრდული მიმართულების შინაარსის პროექტების მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის განვითარებას.

2. კონკურსის მიზანი

2.1 კონკურსის მიზანია ახალგაზრდების იდეების, შემოქმედებითობისა და შესაძლებლობების რეალიზება და სიახლეების დანერგვა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში
2.2 საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.
2.3 ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებისა და მათი უნარების განვითარების ხელშეწყობა.
2.4 ახალგახრდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება
2.5 ახალგაზრდებსა და თვითმართველობას შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

3. კონკურსის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

3.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ 18 წლიდან მოქალაქეს, ასევე ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფს, ორგანიზაციებს რეგისტრირებულს ახალგაზრდული მიმართულებით და ახალგაზრდული მიმართულების შინაარსის პროექტების მხარდამჭერ ორგანიზაციებს.
3.2 პროექტის წარმომდგენის მიერ პროექტი უნდა განხორციელდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში.
3.3 საკონკურსო განაცხადების მიღება წარმოებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაციას, მონაწილეთა საინფორმაციო ბაზის შექმნასა და ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური, კონკურსში მონაწილეობის მსურველები ავსებენ დადგენილი ნიმუშის განაცხადს დანართი N2-ის შესაბამისად.

3.4 კონკურსში მონაწილეს შეუძლია შეავსოს მხოლოდ ერთი განაცხადი.
3.5 საპროექტო განაცხადი შევსებული უნდა იყოს სააპლიკაციო ფორმაში მითითებული მოთხოვნათა დაცვით.
3.6 პროექტში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულ პირებს.
3.7 კომისია არ განიხილავს განაცხადს დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში.
3.8 საკონკურსო განაცხადის შემოტანის უფლება აქვს მოქალაქეებს 18 წლიდან.
3.9 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიიდან ინიციატივების (პროექტების) დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 70 000,00 ლარი, ხოლო ერთი ინიციატივა (პროექტი) შეიძლება დაფინანსდეს არაუმეტეს 20 000,00 (ოცი ათასი) ლარით, გარდა წინამდებარე დებულების მე-10 მუხლის 10.9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
3.10 პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელთაც თან ახლავს: კვლევა, რომელიც ასახავს საკონკურსო ინიციატივის საჭიროებას.
3.11 მონაწილე ახალგაზრდებს, ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფს და არასამთავრობო ორგანიზაციებს უფლებამოსილება აქვთ პროექტში მონაწილეობა მიიღონ თანადაფინანსებით, როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური (ინტელექტუალური საკუთრება და სხვა.)
3.12 პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელთაც თან ახლავს: მცირე კვლევა, რომელიც ასახავს საკონკურსო ინიციატივის საჭიროებას, რომელშიც ავტორის თანამონაწილეობა - 20% და მეტია.
3.13 სახელფასო ბიუჯეტი გადასახადების გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ღირებულების 30%-ს.

4. საკონკურსო პროექტების თემატიკა:

4.1 მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება.
4.2.ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია
4.3. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
4.4.ახალგაზრდებისთვის არაძალადობრივი, უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
4.5. ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების ხელშეწყობა;
4.6.საგანმანათლებლო, შემეცნებითი და შემოქმედებითი პროექტების წახალისება;
4.7ინტეგრაციის ხელშეწყობა.
4.8. მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა.
4.9. სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა, შშმ პირების ინტეგრირება საზოგადოებაში.
4.10.ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ცნობიერების ხელშეწყობა ახალგაზრდებში
4.11.გარემოს დაცვა.
4.12 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
4.13 მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში.
4.14 ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვა/ორგანიზების შესახებ ინიციატივა.

5 . კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა:

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) შევსებული სტანდარტული სააპლიკაციო ფორმა/განაცხადი.
ბ) საინიციატივო ჯგუფის წევრების CV, ორგანიზაციის შემთხვევაში ორგანიზაციის რეგისტრირების დოკუმენტაციის ასლი, საქმიანობის სფერო, მიზნები და განხორციელებული პროექტების ნუსხა; (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
დ) კვლევა, რომელიც აღნიშნული პროექტის საჭიროებაზე მიუთითებს (ასეთის არსებობის

შემთხვევაში);

5.2 დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით

5.3 კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;

5.4. კომისია იტოვებს უფლებას, განმცხადებელს საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებინოს პროექტი.

6. კონკურსის ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I - საკონკურსო განაცხადების მიღება ელექტრონული ფორმით.

II - განაცხადების განხილვა და გადარჩევა შესაბამისი კომისიის მიერ (დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა)

III - ინიციატივის საჯარო პრეზენტაციის გამართვა (კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში)

IV - გამარჯვებული პროექტების გამოვლენა.

7. შეფასება

7 .1 პროექტების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის ინოვაციურობა და კრეატიულობა	15
2	პროექტის დასაბუთება	15
3	პროექტის სტრუქტურა - მეთოდოლოგია, ფუნქციები, შესრულების გეგმა და სხვ.	15
4	ბიუჯეტი-ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან და მიზნებთან	15
5	რელევანტურობა - რამდენად პასუხობს პროექტი მიზნებს,	20
6	პროექტის მდგრადობა, განვითარების პერსპექტივა და შედეგის ეფექტიანობა;	20
	სულ	100 ქულა

7.2 გამარჯვებულად გამოცხადდება პროექტი, რომელმაც დააგროვა ქულათა მაქსიმალური რაოდენობა, მაგრამ არა უმცირეს საერთო ქულათა 70% (საბოლოო ჯამში ფინანსდება საუკეთესო შედეგების მქონე პროექტები „მოქალაქეთა ინიციატივების" მუხლში განსაზღვრული თანხის ამოწურვამდე).

8. კონკურსის ჩატარების ვადები

8.1 კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება შემდეგ მისამართზე: info.zestafoni@zestafoni.gov.ge კონკურსის ეტაპი და შესაბამისი თარიღი წინასწარ განისაზღვრება. რის შემდეგაც განაცხადების მიღება წარმოებს იმავე მისამართზე.

9. პროექტის ხანგრძლივობა

პროექტი უნდა დასრულდეს მ/წ 31 დეკემბრამდე.

10. კომისიის შექმნა და მუშაობის წესი

10.1 კონკურსის დებულებას და კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;

10.2 კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე;

10.3 კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიით შემადგენლობის უმრავლესობა;

10.4 გამარჯვებულის გამოსავლენად შეფასების კრიტერიუმების ქულათა ჯამით, გამარჯვებულად მიიჩნევა და დაფინანსდება ის პროექტები, რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 70 %-ს.

10.5 თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადამწყვეტია კომისიის ხმა, ხოლო თანაბარი ხმების მიღების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10.6 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა;

10.7კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით გამოქვეყნდება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამარჯვებული პროექტების დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10.8 კომისიას აქვს ვალდებულება მონიტორინგი გაუწიოს დაფინანსებულ პროექტს.

10.9 კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების რაოდენობისა და მათზე ბიუჯეტით გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობიდან გამომდინარე, კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოხდეს: თითოეული პროექტისათვის განსაზღვრული თანხის ოდენობის ცვლილება.

11. კონკურსში გამარჯვებული პროექტის განხორციელება

11.1 კონკურსში გამარჯვებული პროექტები უნდა განხორციელდეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

11.2 პროექტში გამარჯვებულ ინიციატივას დააფინანსებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია.

11.3 კონკურსში გამარჯვებული პროექტი გადადის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში და მათზე ეტაპობრივად გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი, გარდა იმ ინიციატივებისა, სადაც ავტორის მიერ პროექტის განხორციელებაში თანამონაწილეობა არის 20% და მეტი, რომელზედაც ფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

11.4 გამარჯვებული ინიციატივების ავტორებს ჯილდოს სახით ჩაერიცხებათ პროექტის ღირებულების 10%, ხოლო პროექტებზე გამოცხადდება ელექტრონული ტენდერი.

11.5 ელექტრონულ ტენდერში სხვა პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში პროექტის ავტორს არ აქვს უფლება უკან გაითხოვოს საკუთარი პროექტი.

11.6 გამარჯვებული პროექტის პასუხისმგებელ პირსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას შორის დაიდება ხელშეკრულება, სადაც გაწერილი იქნება პროექტის განხორციელების შესრულების პირობები: შემსრულებელი მხარე ვალდებულია წარმოადგინოს პროექტისათვის რესურსების შეძენის შემთხვევაში ან მომსახურეობის მიღების შემთხვევაში საჭირო დოკუმენტაცია და დანართი N3.

11.7 გამარჯვებულ ორგანიზაციასთან მოხდება ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება.

11.8 ანგარიშის წარდგენა პროექტთან დაკავშირებით უნდა მოხდეს დანართი N3 შესაბამისად.